ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3999522

ნომერი: AR1601981

თარიღი : 18.05.2018

გაცემის თარიღი : 07.06.2018

გაცნობის თარიღი : 07.06.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ოთხი ათასი მესხის ქუჩა N6;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჭუმბურიძე პ/ნ 01030013137
- ლევან რჩეულიშვილის მე-2 ჩიხი #1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 14 მარტის №3147423 ბრძანებაში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 18 მაისის №AR1601981 განაცხადი ამავე სამსახურის 2017 წლის 14 მარტის

№3147423 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 21 თებერვლის №3110579 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, შპს "იჯი გრუპ"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.72.14.094.514) მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, კომერციული) არქიტექტურული პროექტი, ხოლო 2017 წლის 14 მარტის №3147423 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 14 მარტიდან 2019 წლის 14 მარტის ჩათვლით.

წარმოდგენილი განაცხადით, განმცხადებელი ითხოვს საპროექტო ობიექტის ბლოკებად დაყოფას წარმოდგენილი გენგეგმის შესაბამისად, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში ორ ეტაპად მიღების მიზნით.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა დაადგინა, რომ ვინაიდან 2017 წლის 21 თებერვლის №3110579 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტში აღნიშნული შენობა არის მთლიანი და არ შედგება ორი ბლოკისგან (აქვს საერთო სარგებლობის ორი სართული), სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა მშენებლობის ნებართვის ორ ეტაპად გაყოფასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უარი ეთქვას განმცხადებელს 2018 წლის 18 მაისის №AR1601981 განაცხადში მითითებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.